საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეალიზებულია მონაცემთა ცენტრალიზებულად შეგროვების მანუალური და ავტომატიზირებული მეთოდოლოგია, რომელთაც რეგისტრაციის სხვადასხვა პერიოდულობა, აგრეთვე სისრულისა და კორექტულობის განსხვავებული ხარისხი ახასიათებთ. აქედან გამომდინარე, საინფორმაციო მასივების ცალკეული კატეგორიების მიხედვით, მონაცემთა შემდგომი დამუშავება წარმოებს მრავალჯერადად - პირველადი, შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშგების სახით.

შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში არსებული სტატისტიკური მონაცემები 2018 წლის პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45, 166, 173, 181[1] მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა რაოდენობის შესახებ (რეგიონების მიხედვით).				
რეგიონი	**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლი**	**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე** (მოიცავს როგორც მხოლოდ 166-ე მუხლით, ასევე ერთდროულად ორი მუხლით 166-173-ე მუხლით გამოვლენილ სამართალდარღვევებს) **მუხლი**	**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე** (მოიცავს როგორც მხოლოდ 173-ე მუხლით, ასევე ერთდროულად ორი მუხლით 166-173-ე მუხლით გამოვლენილ სამართალდარღვევებს)	**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის181[1] მუხლი**
აჭარა	305	857	418	125
გურია	58	51	70	3
სამეგრელო - ზემო სვანეთი	577	346	430	23
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი	251	685	593	23
შიდა ქართლი	202	145	318	22
სამცხე-ჯავახეთი	117	89	117	17
მცხეთა-მთიანეთი	38	33	77	11
ქვემო ქართლი	166	298	338	57
კახეთი	265	87	343	11
თბილისი	1714	1861	2057	1765
სულ	**3693**	**4452**	**4761**	**2057**

ამავდროულად, დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ბაზის სტრუქტურული რევიზირებისა და არქიტექტურული განახლება-რეორგანიზაციის პროცესები, რომლის საბოლოო დასრულებამდე, ზღვრული საშუალო სტატისტიკური ცდომილების ფარგლებში არსებობს მონაცემთა შემდგომი ცვლილების გარკვეული ალბათობა.